

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის**

ო კ მ ი № 11

ქ. თბილისი

28 დეკემბერი , 2007 წელი

სხდომას თავჯდომარეობდა : წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი
კახაბერ ლორია .

სხდომას ესწრებოდნენ: წარმომადგენლობითი საბჭოს 25 წევრი .

დღის წესრიგი:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ბატონ რომან შაქარიშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2008 წლის ბიუჯეტის დამტკიცება .
3. დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შრომის ანაზღაურების ოდენობის და პირობების შესახებ.

1. მოისმინეს:

ბატონ რომან შაქარიშვილის მედიცინის ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსად დანიშვნასთან დაკავშირებით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი .

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 25

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

შეუწყდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს ბატონ რომან შაქარიშვილს უფლებამოსილება.

2. მოისმინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის პრეზენტაცია (მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქ-ნი გულნაზი გალდავამ) .

აზრი გამოთქვას:

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა გამოითქვა გარკვეული შენიშვნები და გაიმართა დისკუსია. განხილვაში მონაწილეობდნენ ფაკულტეტის დეკანები. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა დასვეს შეკითხვები:

ა. აბდუშელაშვილი : „ მე მაინტერესებს გაიზრდება თუ არა სტუდენტთა დაფინსება „ნიჭიერ სტუდენტთა ფონდიდან “ და თუ შეეხება ეს მაგისტრანტებს? “

ც ბარამიძე : „მე მინდა გამოვთქვა მადლიერება დღევანდელი ადმინისტრაციის მიმართ და მაინტერესებს სახელმწიფოს მხრიდან რა ფინანსები იხარჯება ჩვენს უნივერსიტეტზე და რამდენი სხვა უნივერსიტეტებზე?“

ზ. ფაღავა : „მედიცინის ფაკულტეტს სამედიცინო ბაზა აქვს ღუდუშაურის კლინიკაში. თუმცა გარკვეული საკითხები საჭიროებს გარკვევას , მოხდება თუ არა საიჯარო გადასახადების გადახდა?“

დასმულ შეკითხვებს უპასუხა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გულნაზ გალდავამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ შოთა მინდელმა.

საკითხის განხილვა შეაჯამა სხდომის თავჯდომარემ კახაბერ ლორიამ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 1

თავი შეიკავა: 1

მიღებული გადაწყვეტილება:

- დამტკიცდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი აკადემიური საბჭოს მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით . (დანართი 1)

3. მოსმინეს:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქნი გულნაზი გალდავას ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობის, სამსახურში მიღების წესისა და პირობების შესახებ , ქმა გულნაზი გალდავამ აღნიშნა რომ: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანამდებობრივი სარგოების ზრდა გამოწვეულია 2008 წლის 1 იანვრიდან ქვეყანაში დაბეგვრის ახალი რეჟიმის ამოქმედებით. თანამშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით განხორციელდა შესაბამისად გადაანგარიშება და თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა (დანართი 2 -ში) წარმოდგენილი ოდენობით. ასევე მინდა მოგახსენოთ რომ 2008 წელს დაგეგმილია გარკვეული ცვლილებები ცალკეული დეპარტამენტისა და ფაკულტეტის საშტატო განრიგში(იხ .დანართი 3). ზემოაღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას, თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონალური დატვირთვის გაუმჯობესებას ,დასაქმებული პერსონალის რიცხოვნობის ოპტიმიზაციასა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას . ვინაიდან არ არის დადგენილი სპეციალური წესი დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით, სამსახურში მიღება ხორციელდებოდა საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლებით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმომადგენლობითი საბჭოს მხრიდან ითხოვა თანხმობა, რომ შემდგომშიც დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება კვლავ გაგრძელდეს მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში საშტატო განრიგის მიხედვით დადგენილი თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად,

შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები დადგინდეს შრომითი ხელშეკრულებით.

აზრი გამოთქვას:

საბჭოს წევრებმა გამოთქვას თავისი მოსაზრებები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე : 25

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0


მიღებული გადაწყვეტილება:

- დამტკიცდა :

„ უმაღლესი განათლების შესახებ “ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის I ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად , ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კვლავ განხორციელდეს მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად .

დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში საშტატო განრიგის მიხედვით დადგენილი თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები დადგინდეს შრომითი ხელშეკრულებით. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა შესაბამისად, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები დადგინდეს შრომითი ხელშეკრულებით.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი


კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი

მარიამ ჩეკურიშვილი
